პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 59 (3036) | 26 მარტი, შაბათი. 1966 წ. | ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## საათი!

### ნ. გაფრინდაშვილი და ა. ნიკოლაუ — გამარჯვებულნი

**ბელგრადი**, 25 მარტი. დამთავრდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ბოლო, XIII ტურში მსოფლიოს ჩემპიონი მაყურებლის როლში გამოდიოდა — წინდღით გაფრინდაშვილმა 9 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. ხოლო მის ძირითად მეტოქეს ნიკოლაუს 8,5 ქულა და ლ. ულიჩ-უივკოვიჩთან სათამაშო პარტია ჰქონდა. რუმინელმა წყნარი ბრძოლა არჩია და უკვე მე-18 სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა.

ამრიგად, I-II ადგილები გაიყვეს გაფრინდაშვილმა და ნიკოლაუმ. III-IV ადგილებიც გასაყოფი გახდა: მათ დაეუფლნენ იუგოსლაველები ლაზარევიჩი და ულიჩ-უივკოვიჩი (8-8).

### ტოტალიზატორის თანხებიდან

**ვარშავა, 25 მარტი.** თავისი არსებობის 10 წლისთავი აღნიშნა პოლონეთის სპორტულმა ტოტალიზატორმა. მასში ყოველკვირეულად საშუალოდ მილიონნახევარი გულშემატკივარი მონაწილეობს. ამ ხნის განმავლობაში ტოტალიზატორის თანხებიდან სპორტნაგებობათა მშენებლობისთვის გაღებულია 3 მილიარდი ზლოტი. თანხების ნაწილი მოხმარდება ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის მოყვარულთა სამგზავრო ხარჯებს. ბილეთები თამაშდება ლატარიაში. უკვე ცნობილია ორი იღბლიანი გულშემატკივარი, რომლებიც ამ ბილეთებით წავლენ მეხიკოში.

### ბუმერანგი არ ბრუნდება

**სიდნეი**, 25 მარტი (საკდესი). დედამიწის რომელ კუთხეში ცხოვრობენ ბუმერანგის ყველაზე მარჯვე მსროლელები? რა თქმა უნდა, ავსტრალიაში — ამ უცნაური იარაღის სამშობლოში. მაგრამ ბუმერანგისტთა შეჯიბრებაში, რომელიც ქალაქ პერტში 3 ქვეყნის სპორტსმენთა შორის გაიმართა, ბოლო ადგილზე მოულოდნელად სწორედ ავსტრალიელი აღმოჩნდა.

ეს შეჯიბრება მართლაც რომ უჩვეულო სანახავი იყო. „მწვანე კონტინენტის" მძლეოსანთა ღია ჩემპიონატის მონაწილეებმა ტურნირის გახსნამდე გადაწყვიტეს ერთმანეთს ბუმერანგის მარჯვედ სროლაში შეჯიბრებოდნენ. ასპარეზობა ფოტო და ტელეობიექტივების მთელი „ბატარეის" წინაშე ჩატარდა.

პირველი იარაღი მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ ო. კასელს დაემორჩილა: ბუმერანგი ზუსტად დაუბრუნდა სპორტსმენს. II ადგილი ლენინგრადელმა მორბენალმა ვ. მიხაილოვმა დაისაკუთრა, რომელმაც აბორიგენთა იარაღს თავის სიცოცხლეში პირველად მოჰკიდა ხელი. სამაგიეროდ, სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა რ. კლარკმა ვერ დაიცვა ამ უჩვეულო იარაღის სამშობლოს პრესტიჟი: ბუმერანგი მსროლელს არ დაუბრუნდა. როგორც ჩანს, მსოფლიო რეკორდსმენს რევანშის აღება სარბენ ბილიკზე მოუწევს...



# ტრადიციად ვაქციოთ!..

ჯერ რამდენიმე სიტყვა მაყურებლებზე და ყველა იმათზე, ვინც ამ დღეს რაღაც უჩვეულო, მეტისმეტად ამაღლებულ გუნებაზე იყო. არავის დაუგვიანებია. ყველა, ვინც უეჭველად უნდა დასწრებოდა მატჩს, გერმანული სიზუსტით ესტუმრა ჩვენი სპორტის სასახლეს.

მალე ამ თავმოყრის „დამნაშავენიც" გამოჩნდნენ. დიქტორმა პათეტიურად დაიწყო გუნდების შემადგენლობათა გამოცხადება და დარბაზიც ერთბაშად გამოცოცხლდა. ფოტორეპორტიორებმა მოიმარჯვეს აპარატები, ჟურნალისტებმა — ბლოკნოტები...

1966 წლის 24 მარტს დღის 12 საათზე საბჭოთა კალათბურთის ისტორიამ ერთხელ კიდევ გაიხსენა თავისი ახალგაზრდობა. გაიხსენა ის დრო, საიდანაც თანამედროვე საბჭოთა კალათბურთის წარმატებები დაიწყო: აქ იყო წარმოდგენილი ომამდელი (ნაწილობრივ) და ომისშემდგომი წლების (ჭარბად) კალათბურთი...

საბჭოთა კალათბურთის ვეტერანთა ნაკრები: მოსკოველები ი. ოზეროვი და ი. ვლასოვი, ესტონელი ი. კულამი, ლიტველი ჯ. პეტკიავიჩუსი, ლატვიელი მ. ვალდმანისი, ლენინგრადელი პ. ბარანოვი და სხვ.; თბილისის „დინამოს" ვეტერანთა გუნდი: ლ. ინწკირველი, ა კილაძე, ვ. ჟღენტი, ვ. გვანცელაძე, რ. გოგელია (ეს ძირითადი, სასტარტო ხუთეული) და მათი თადარიგი შ. ქორქაშვილი, გ. აბაშიძე, ჯ. ნატრიაშვილი, ა. არუცევი.. მწვრთნელებმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ჯორჯიკიამ და სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. შაბლინსკიმ ბრძოლის წინ ერთხელ კიდევ დაარიგეს თავიანთი „აღსაზრდელები" და მატჩიც დაიწყო.

...„დინამოს" თამაში თავიდანვე ძველებური აზარტით წარმართა და მალე ჟღენტმა ანგარიში გახსნა. შემდეგ კილაძის ზუსტი სროლა, პეტკიავიჩუსის საპასუხო გარღვევა. ყველაფერი თითქოს რიგზეა: შეტევა შეტევას ცვლის, ანგარიში მეთოდურად იცვლება, მაგრამ... მწვრთნელს მუდარის თვალით პირველად ჟღენტმა შეხედა — იგი შეცვლას, დასვენებას ითხოვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოედანი კულამმაც დასტოვა, მერე მას ვლასოვი მიჰყვა, კილაძე და, ასე გასინჯეთ, ინწკირველიც კი, რომელსაც, იყო დრო, შეუსვენებლად 4 ტაიმის თამაში შეეძლო. ექ, წლები, წლები!

შესვენებამდე წინ სულ დინამოელები იყვნენ, რომლებმაც ტაიმი მოიგეს კიდეც — 22:20. მაგრამ მასპინძლების საქმე ცუდად იყო, ვინაიდან მათ ფაქტიურად წააგეს შეჯიბრება გამძლეობაზე. მეორე ნახევარში ნაკრების ვეტერანები (განსაკუთრებით ვალდმანისი და პეტკიავიჩუსი) თავს მსუბუქად და ხალისიანად გრძნობდნენ, დინამოელები კი აშკარად განიცდიდნენ „ჟანგბადის ნაკლებობას". ვერ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა ვერც ნამდვილმა მასპინძელმა, სპორტის სასახლის მთავარმა ინჟინერმა შ. ქორქაშვილმა. სპორტის სასახლის „შინაური" კედლები ამჯერად მას უჩვეულოდ ვიწროდ ეჩვენა, გასაქანი ვერ ჰპოვა და მანაც მუდარის თვალები მიაპყრო ნ. ჯორჯიკიას — დავიღალეო...

48:39 — ასეთია შეხვედრის საბოლოო შედეგი ნაკრების ვეტერანთა სასარგებლოდ. ანგარიში ანგარიშად, მაგრამ ეს მატჩი შესაძლოა კარგი ტრადიციის დასაბამი გახდეს... და თუ ასე მოხდა, „დინამო" მომავალში სერიოზულად მოჰკიდებს ხელს წვრთნას და მისი წევრებიც მატჩის მეორე დღეს უფრო ლაღად იგრძნობენ თავს.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *

სურათზე: თბილისის „დინამოს" ვეტერანთა გუნდი წუთშესვენებისას: მარცხნიდან მარჯვნივ — ვ. გვანცელაძე, ა. კილაძე, ლ. ინწკირველი, ვ. ჟღენტი და გუნდის მწვრთნელი ნ. ჯორჯიკია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### ა. გომელსკი ასახელებს...

16 აპრილს ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოში დაიწყება მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 16 ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდები. საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ა. გომელსკიმ დაასახელა ჩვენი გუნდის შემადგენლობა.

**მცველები** — ზ. საკანდელიძე („დინამო", თბილისი), ა. კულკოვი (ცსკა), ი. სელიხოვი („ბურევესტნიკი", მოსკოვი), ს. ბელოვი („ურალმაში", სვერდლოვსკი), ვ. სალუხინი (ასკ, კიევი).

**თავდამსხმელები** — მ. პაულაუსკასი („ჟალგირისი", კაუნასი), ო. იურგენსონსი (ვეფ, რიგა), პ. ტომსონი („კალევი", ტარტუ), ა. კოვალიოვი (ცსკა), ა. სხიერელი („დინამო", თბილისი).

**ცენტრალური თავდამსხმელები** — ლ. ივანოვი („სპარტაკი", ლენინგრადი), ი. ლიპსო (ცსკა), ვ. ანდრეევი („ლოკომოტივი", ალმა-ათა), ნ. სუშაკი (ასკ, კიევი), მ. მედვედევი („სპარტაკი", მინსკი).

## XXVII

### ყაიმი საპატიო ოსტატთან

VII ტურში უბილავამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა გურგენიძესთან. ეს ახალგაზრდა მოჭადრაკისთვის საამაყო წარმატებაა. საპატიო ოსტატი უბრძოლველად არავის დაუზავდება. ასე იყო უბილავასთან პარტიაშიც. საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა უკვე პირველი სვლებით საგონებელში ჩააგდო ახალგაზრდა კოლეგა. შუა თამაშში უბილავამ კარგად უვნებელყო ოსტატის გაბატონებული მხედარი ცენტრში. მაგრამ შემდგომ ღრმად გააზრებული მანევრებით გურგენიძემ შეტევი პოზიცია ააგო. ჭაბუკი არ შეშინდა მან შეწირა პაიკი და კუ „დაუბა" მრისხანე მეტოქეს. გურგენიძემ ლაზიერში ორი ეტლი მოიგო, შავ მეფესაც დაემუქრა, მაგრამ მისმა მეტოქემ მიაგნო ყაიმის მისაღწევ მუდმივ ქიშს.

კერნოჟიცკიმ ჯინჯიხაშვილთან პასიურად გაითამაშა ძველინდური დაცვა. იგი არ ჩქარობდა იერიშის დაწყებას. ჯინჯიხაშვილმა უშიშრად, ენერგიული თამაშით გახსნა ხაზები ლაზიერის ფრთაზე, თანდათან გაცვალა იერიშისთვის ხელისშემშლელი ფიგურები და მარწუხებში მოაქცია მეტოქის პოზიცია. 36-ე სვლაზე კერნოჟიცკი დანებდა.

თოხაძე დამარცხდა ლომაიასთან. ჩიქოვან — ბუსლაევის, მუკნიაშვილ — ბოკუჩავასა და დავითაშვილ — რაზოვსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

**თ. გიორგაძე.**

## გოგონები...

**თბილისში** გაიმართა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის VIII ტური. ჯინჯიხაშვილმა დაამარცხა ჩიქოვანი, ჩეჩელიანმა — თოხაძე. ბუსლაევ — გიორგაძისა და ალექსანდრია — ბოკუჩავას პარტიები ყაიმით დასრულდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. 8 ტურის შემდეგ 6,5 ქულითა და 1 გადადებული პარტიით ლიდერობს გურგენიძე. ბუსლაევმა და გიორგაძემ 6-6 ქულა დააგროვეს, ოღონდ ამ უკანასკნელს 1 გადადებული პარტია აქვს.



მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა მატჩი, რომელიც ევროპის პირველობის პროგრამით მიმდინარეობდა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 133:90. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალთა შორის ასპარეზობისას ლ. ხაზიევამ სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 5.32,6.

სურათზე: ლ. ხაზიევა სარეკორდო გაცურვის შემდეგ.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# აუმჯობესებენ შედეგებს

როგორც იყო, შვებით ამოვისუნთქეთ. ტყვიით სროლაში რესპუბლიკური ჩემპიონატის მესამე დღეს შვიდმა სპორტსმენმა გადაამეტა I თანრიგის ნორმას; დამყარდა საქართველოს რეკორდიც.

ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია სპორტის ოსტატმა გ. ბეჟთაშვილმა (თბილისის „დინამო"): „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლით მან 222 ქულა აჩვენა, რითაც შეასრულა საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმა. მანვე დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი ორი ვარჯიშის ჯამში — 441 ქულა.

„ირემზე" 25 ორმაგ გასროლაში II და III ადგილები მოიპოვეს ჩემპიონის თანაგუნდელებმა რ. პეტრუშკოვმა — 208 ქულა და გ. თავდიდიშვილმა — 207 ქულა. ნებისმიერი საბრძოლო შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში საქართველოს ჩემპიონი გახდა ა. სტროევი (სოხუმის „დინამო") — 559, მეორე იყო თ. მეგრელიშვილი (თბილისის „დინამო") —556, მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (7×20) სროლაში ქალთა შორის გაიმარჯვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ს. ზაპკომ („დინამო") — 547. ხუთივე სპორტსმენმა შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი მ. ღვინერია (თბილისის დოსააფი) —551. მას 2 ქულით ჩამორჩა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი სპორტის ოსტატი ტ. კაბოსნიძე. III იყო ნ. სლივინა (თბილისის დოსააფი) —543. ეს იყო ერთადერთი ვარჯიში, სადაც გუნდური პირველობა დოსააფმა მოიპოვა —1633. სხვებში კი ისევ „დინამოს" მსროლელებმა იმარჯვეს და საერთო ჩათვლაშიც დიდი უპირატესობით ლიდერობენ.

**სროლა**

# ანგარიშგება-არჩევნები

## ჩაებაბათ მეტი ქალი...

გაიმართა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს V კონფერენცია.

რა მუშაობა ჩატარდა საანგარიშო პერიოდში? როგორია წინსვლის გეგმები? აი, ძირითადად ის საკითხები, რაზეც ილაპარაკა საანგარიშო მოხსენებით გამოსულმა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. მამინაშვილმა.

გადაჭარბებით შესრულდა სპორტსმენ-თანრიგოსანთა, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრებისა და მსაჯ ნიშნოსნების მომზადების გეგმები. გაიზარდა საზოგადოების წევრთა რიცხვი, გაუმჯობესდა სექციების საქმიანობა. კარგად იმუშავეს გემსაშენი, მანქანათსაშენი, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების, საშკერვალო ფაბრიკისა და სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა — საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. კალანდაძემ, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ა. ბალათურიამ, ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მ ბერძენიშვილმა, სპორტის ოსტატმა ბ. შენგელიამ, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოდერძიშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებაში სუსტად მუშაობენ მძლეოსნობის, ველოსპორტის, ძალოსნობის სექციები; მივიწყებულია სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში; მცირეა სპორტში ჩაბმულ ქალთა რიცხვი.

კონფერენციამ საბჭოს ახალ შემადგენლობას დაავალა უფრო ფართოდ გაშალოს ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, გააუმჯობესოს სექციური მუშაობა სპორტის ჩამორჩენილ სახეობებში, მეტი ყურადღება მიაქციოს ფიზკულტურასა და სპორტში ქალთა ჩაბმას. „განთიადის“ ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ისინი წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ IV სპარტაკიადაში.

კონფერენციამ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია შ. მამინაშვილი.

**ი. ბერძენიშვილი.**

ბათუმი.

## ყურადღება არ ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს

ქ უ თ ა ი ს ი (ჩვენი კორ.). ბევრი მნიშვნელოვანი რამ ითქვა „განთიადის“ საქალაქო კონფერენციაზე, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე გ. აფრიდონიძე.

ქალაქში „განთიადის“ 39 ფიზკულტურული კოლექტივია. მათში გაერთიანებულია 16 ათასზე მეტი ფიზკულტურელი. საანგარიშო პერიოდში 7 ოსტატის ნაცვლად მომზადდა 17, 72 პირველთანრიგოსნის მაგიერ — 172. გადამეტებით შესრულდა სხვა თანრიგების სპორტსმენთა, აგრეთვე საზოგადოებრივი კადრებისა და მსაჯ ნიშნოსანთა მომზადების დავალებანიც.

ამ პერიოდში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს განთიადელმა მთამსვლელებმა, ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს ზ. შეყრილაძემ (თავისუფალ ჭიდაობაში) და გ. კოხრეიძემ (ტყვიით სროლაში). სსრ კავშირის რეკორდი დაამყარეს სპელეოლოგებმა ვ. გაბელაშვილმა, დ. ცომაიამ, ნ. ნემსიწვერიძემ და დ. მინდაძემ, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში თავი გამოიჩინეს მოფარიკავეებმა და კალათბურთელებმა, მშვილდოსნებმა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა.

ინტენსიურად მუშაობენ აბრეშუმკომბინატის, საავტომობილო, ლითოფონის, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო ქარხნებისა და სხვა საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივები.

მაგრამ ხარვეზიც ბევრია. ფაბრიკა-ქარხნებში სათანადო ყურადღება არ ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს. ბაზები არა აქვთ მოცურავეებს, წყალში მხტომელებს, წყალბურთელებს. სპორტული მოედნების მოწყობისთვის არ ზრუნავენ ქიმიურ ქარხანასა და საავეჯო ფაბრიკაში, სადაც ფიზკულტურული კოლექტივები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ...

„განთიადის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია შ. ტურაბელიძე.

**შ. ნიჟარაძე.**

## საქმეს აფერხებს კადრების სიმცირე

„განთიადის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს საანგარიშო პერიოდი ორ წელიწადს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადების გეგმები. კარგი მუშაობით გამოირჩევიან ცხინვალის ელექტროვიბრომანქანის ქარხნის, ხე-ტყის კომბინატის, ს...ქუჩ... ფაბრიკისა და ქვაისის მაღაროთა სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივები. მაგრამ ბევრ მსხვილ საწარმოს ჯერ კიდევ არ გააჩნია სპორტული ბაზები, ინვენტარი, ოლქი განიცდის კვალიფიციური ფიზკულტურული მუშაკების ნაკლოვანებას.

ამ საკითხებზე ილაპარაკა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ უ. მარგიევმა V კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა ცხინვალში.

კამათში გამოვიდნენ ა. არჩუაძე (სამკერვალო ფაბრიკა), ზ. კვკოშვილი (ხე-ტყის კომბინატი), ძ. გაზაევი (ელექტროვიბრომანქანის ქარხანა), პ. კაჯაევი (ქვაისის მაღაროთა სამმართველო), ბ. ბაჟანოვი („განთიადის“ ცენტრალური საბჭო), გ. ჭოჭოევი (პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე) და სხვ.

კონფერენციამ აირჩია საზოგადოების ახალი შემადგენლობა. „განთიადის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია უ. მარგიევი.

**პ. მელქოევი.**

(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

# ახალი პროგრამით...



დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. გუნდური ასპარეზობა ორ ჯგუფად ჩატარდა. I ჯგუფში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რაიონების სპორტული სკოლების, ხოლო მეორეში — სპორტსაზოგადოებათა კოლექტივები, რომლებთან ერთად გამოდიოდა ბავშვთა ცენტრალური სკოლის ნაკრები გუნდი.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ი. მეჩიაშვილმა გვითხრა:

— ნორჩი ტანმოვარჯიშეები პირველად გამოდიოდნენ ახალი საკლასიფიკაციო პროგრამით, რომელიც მხოლოდ ა. წ. 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. დინამოელთა და განთიადელთა გუნდები კარგად დაეუფლნენ ახალ ვარჯიშებს, მაგრამ ზოგიერთმა პროგრამა ვერ აითვისა. სპორტსმენები ვარჯიშობდნენ დაბალ ტექნიკურ დონეზე. ეს, პირველ ყოვლისა, შეეხება „შრომითი რეზერვების“ გუნდს. ერთი შეხედვით, თითქოს არის მოუმზადებლობის გასამართლებელი საბუთი: პროგრამა ახალია. მაგრამ ასპარეზობას ხომ წინ მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა და ვინც ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენა, რასაკვირველია, გამარჯვებაც მას დარჩა.

მთავარმა მსაჯმა აღნიშნა, რომ ბოლო წლებში „განთიადის“ ტანმოვარჯიშე გოგონების საერთო გუნდურ წარმატებებს ზღუდავდა ვაჟთა კოლექტივის სისუსტე. მაგრამ შეჯიბრებაში ამ სპორტსაზოგადოების მოსწავლე ვაჟთა გუნდი საკმაოდ ძლიერად გამოვიდა. პირველობამ გამოავლინა პერსპექტული ტანმოვარჯიშეები ვ. პეტრენკო, გ. ჯლარკავა (ორივე — „განთიადი“), პ. შამუგია („დინამო“), ვ. ფეიქრიშვილი (განათლების განყოფილება) და სხვ.

**ო. ქორქია,**
სპორტის ოსტატი.

**მოგვყავს ტექნიკური შედეგები:** I ჯგუფი: 1. 26 კომისრის სახელობის რაიონი, 2. ოქტომბრის რაიონი, 3. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე; II ჯგუფი: 1. განათლების განყოფილება, 2. „განთიადი“, 3. „დინამო“. **პირადი პირველობა:** ოსტატობის კანდიდატი ვაჟები — 1. შ. ლოლაძე (განათლების განყოფილება) — 51,6 ქულა, 2. ა. გნოლიძე (განათლების განყოფილება) — 50,7, 3. ვ. კუზნეცოვი („დინამო“) — 47,95; I თანრიგი — 1. დ. ძაგანია (განათლების განყოფილება) — 98,5; II თანრიგი — 1. პ. შამუგია („დინამო“) — 107,4. ოსტატი გოგონები (უფროსი ასაკი) — 1. ზ. იასკო (განათლების განყოფილება) — 37,5 ქულა, 2. ო. ევსეევა („განთიადი“) — 37,15, 3. მ. ჩაჩხიანი (განათლების განყოფილება) — 36,9; ოსტატი გოგონები (საშუალო ასაკი) — 1. ლ. ლაპისტოვა („განთიადი“) — 37,05; I თანრიგი — 1. ც. ჩოხელი („ბურევესტნიკი“) — 72,6; II თანრიგი — 1. გ. ჯლარკავა („განთიადი“) — 75,4.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. ლაპისტოვა ძელზე ვარჯიშისას.

ფოტო გ. გოგნიაშვილისა.

# არ იგრძნობა სტუდენტური შემართება

გრძელდება თბილისის პირველობა რეგბში. „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორზე შედგა IV ტურის მატჩები. „დინამოს“ I და უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრამ სტუდენტთა კოლექტივის უსუსურობა ნათლად დაადასტურა მატჩის საბოლოო ანგარიშმა — 66:0. სტუდენტებისათვის ის რომ პირველი მარცხი იყოს დიდი ანგარიშით, იქნებ არაფერი გვეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის გუნდი აშკარად მოუმზადებელი გამოვიდა ტურნირში.

იგივე შეიძლება ითქვას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდზეც. ერთ დროს ძლიერმა კოლექტივმა ამ ჩემპიონატში ყველას დააჩაგვრინა თავი. პირველ შეხვედრაში დიდი ანგარიშით მარცხის შემდეგ ვვარაუდობდით, რომ მომავალი აგრონომები სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ და უფრო მონოლითური კოლექტივით წარმოგვიდგებოდნენ IV ტურში. მაგრამ „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ ისინი საერთოდ არ გამოცხადდნენ, რის გამოც რკინიგზელებს მოგება ჩაეთვალათ. ვფიქრობთ, როგორც უნივერსიტეტის, ისე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრები გადამჭრელ ღონისძიებას გაატარებენ და გუნდების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის იზრუნებენ.

გასულ კვირას ერთადერთი საინტერესო მატჩი გაიმართა სპორტკლუბ „ელმავალსა“ და „დინამოს“ II გუნდს შორის. შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა — 9:6.

**ე. ქელბაქიანი,**
თბილისის რეგბის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

# შესდექით, წამმზომები გამორთულია!

გასულ კვირას 26 კომისრის რაიონში პირველი სტარტი მიეცა კროსს „პრავდის“ პრიზზე. მოსკოვის პროსპექტზე ასპარეზობდნენ ამ რაიონის საწარმოებისა და სასწავლებლების მძლეოსნები. მოსალოდნელი იყო, რომ ღონისძიებას სათანადოდ მოამზადებდნენ მისი ორგანიზატორები, ვინაიდან „პრავდის“ კროსების შემდეგ მძლეოსნობაში ბევრი ახალბედა მოდის.

მაგრამ დაიწყო იმით, რომ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ლ. ჩერნიშოვმა 20 წუთის დაგვიანებით მისცა სტარტი 1.000 მეტრზე მორბენალ... ორ ქალს. ამ „მრავალრიცხოვანი“ გარბენის მონაწილეებს ფინიშამდე მისვლა არ აცალეს — 500 მეტრის გარბენის შემდეგ მსაჯებმა მათ უბრძანეს:

— გვყოფათ, წამმზომებს ვაჩერებთ!

და მართლაც გამორთეს წამმზომები...

ქალებმა მორიდებით გაახსენეს მსაჯებს — 1.000 მეტრი გვაქვს გასარბენიო, მაგრამ ეს უკანასკნელნი მტკიცედ იდგნენ თავიანთ უცნაურ გადაწყვეტილებაზე.

მსაჯები საერთოდ არ იყვნენ ჭაბუკთა 1.000-მეტრიან დისტანციაზე. აი, რა თქვა რბენის შემდეგ 110-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა მ. კარაევმა: „როცა ფინიშამდე 200 მეტრი დარჩა, ბუჩქებიდან ველოსიპედისტები გამოხტნენ და ცდილობდნენ ჩვენს გასწრებას“...

დისტანციაზე დასეირნობდნენ ველოსიპედისტები, არ იყო შეჯიბრების კალენდარი და სხვ.

ბევრი მონაწილე ცუდად მომზადებული მოვიდა საასპარეზოდ. ისინი 500-მეტრიან დისტანციაზეც კი მისეირნობდნენ და მხოლოდ ფინიშთან „ავითარებდნენ თავბრუდამხვევ ტემპს“. არავის უზრუნვია გამარჯვებულთა დაჯილდოებისთვის.

კიდევ ერთი ფაქტი. ასპარეზობაში მონაწილე 800 მძლეოსანს შორის მხოლოდ 70 იყო საწარმოებიდან. ისინი გამოიყვანეს სპორტკლუბმა „განთიადმა“, ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანებამ „ისანმა“, ქარხანა „მიკროძრავამ“, ხორცისა და გრეხილი ავეჯის კომბინატებმა. წისქვილკომბინატის, საავეჯო საწარმო გაერთიანება „განთიადის“, ცხიმკომბინატისა და სხვათა კროსმენები საასპარეზოდ არ მოვიდნენ.

ასეთი სავალალო ხარვეზების მიუხედავად, ზოგიერთები თავგამოდებით იბრძოდნენ და კარგი შედეგებიც აჩვენეს. მაგალითად, 500 მეტრზე მოსწავლეთა რბენაში უძლიერესმა, 83-ე სკოლის მეშვიდეკლასელმა ი. ბერეზინამ მოზრდილთა II თანრიგის ნორმატივი შეასრულა (1.22,0), 1.000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა, 97-ე სკოლის მეათეკლასელმა ვ. შალამოვმა კი აჩვენა 2.45,6.

არ ჩატარდა კროსები 3.000 და 5.000 მეტრზე, ვინაიდან არავინისურვა ამ გრძელ დისტანციებზე ოფლის ღვრა.

ზემოჩამოთვლილი კურიოზები გამოიწვია შეჯიბრების ორგანიზატორთა გაუმართლებელმა აჩქარებამ. 26 კომისრის რაიონის სპორტკავშირი შეეცადა ყველასთვის დაესწრო ამ ღონისძიების გამართვა და აი, შედეგებიც!

**ვ. ზუკინი,**
I კატეგორიის მსაჯი.

# ვინ უკეთ იმუშავა

ამ დღეებში ჩატარდა აჭარის მოცურავეთა ზამთრის პირველობა, რომელიც ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის აუზში მიმდინარეობდა.

კარგად გამოვიდნენ მწვრთნელ ლ. ერმოლენკოს აღსაზრდელები. II ადგილზე აღმოჩნდნენ გ. კალანდაძის, ხოლო მესამეზე — ს შავლოვას მოწაფეები. პირად შეჯიბრებებში კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ: ვ. კარჩანს — 50 მ თავისუფალი სტილით და ზურგზე ცურვაში (35,5 და 44,8), ა. იაროვაიას — 50 მ თავისუფალი სტილითა და ბრასით ცურვაში, სპორტის ოსტატ ა. არტამონოვს — 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — 59,9. ოსტატმა აჭარის რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.41,3. ვ. კალანდაძემ მოიგო 100 მ ბატერფლაით ცურვა, გ. ცხოიძემ — ბრასით ცურვა. ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით პირველი იყო ნ. გრომოვა, ხოლო ბრასით — ი. ნემოშკალოვა.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. არტამონოვი ხარეკორდო გაცურვის დროს.

ფოტო და ტექსტი შ. ქებაძჩიანისა.

ბათუმი.



# ახალი ამბები

● **სარაევო,** 25 მარტი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში კიდევ 3 ტური შედგა. II ტურში ტალმა ყაიმით დაამთავრა პარტია ბულგარეთის ჩემპიონ მინევთან, მესამეში — დაამარცხა იუგოსლაველი გაშიჩი, ხოლო მეოთხეში — ასპარეზობის ლიდერი პახმანი (ჩეხოსლოვაკია). მეორე საბჭოთა მოჭადრაკე კოტოვმა წააგო პიტჩთან (გდრ), იანსასთან (ჩეხოსლოვაკია) პარტია ყაიმით დაამთავრა, ხოლო იუგოსლაველ მეშტროვიჩთან შეხვედრა გადასდო. 4 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ ტალი და პიტჩი. მინევსა და პახმანს 2,5-2,5 ქულა აქვთ.

● **კაირო,** 24 მარტი. არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფებიან სომხეთის მოფარიკავეები. პირველ მატჩში ისინი შეხვდნენ ეგვიპტელ სპორტსმენებს და გაიმარჯვეს: ვაჟებმა — 9:7, ქალებმა — 13:3.

● **ბერნი,** 25 მარტი. მეორე მატჩი გამართეს შვეიცარიაში მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა. ისინი შეხვდნენ უმაღლესი ლიგის გუნდს „იანგ ბოიზს“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს შჩერბაკოვმა და სერგეევმა.

● **რიეკა,** 24 მარტი. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა იუგოსლავიაში მორიგი მატჩი გამართეს. ამჯერად ისინი შეხვდნენ ადგილობრივ „გორანინს“ და გაიმარჯვეს — 9:0.

● **ლიონი,** 24 მარტი. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა საფრანგეთში ტურნე ადგილობრივ „ოლიმპიკთან“ შეხვედრით დაამთავრეს და მხოლოდ ამ მატჩში შეძლეს გოლის გატანა. პირველი ტაიმის ანგარიში იყო 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს, მაგრამ მასპინძლებმა ანგარიში გაქვითეს და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

● **ტალინი,** 24 მარტი. დამთავრდა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა ტურნირი. გაიმარჯვა ყაზახეთის წარმომადგენელმა ი. სავიტსკიმ. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს მასპინძლებმა — ესტონელმა ხუთჭიდელებმა.



სურათზე: კიევის „სტროიტელისა“ და რიგის ვეფ-ის შეხვედრის მომენტი. გარღვევაზეა უკრაინელი ბაგლეი. მას ფარისკენ გზას უღობავს გულბისი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ოლიმპიურ ჩემპიონთა ქვეყანაში

როგორც ცნობილია, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ბულგარეთში იმყოფებოდა. ჩვენმა გუნდმა ამ მშვენიერი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში 3 მატჩი ჩაატარა და სამივეში იმარჯვა. ახლა, როცა უკან დარჩა ამ საინტერესო მოგზაურობის დღეები, არ შეგვიძლია აღტაცება არ გამოვთქვათ იმ სტუმართმოყვარეობისა და ძმური სიყვარულის გამო, რითაც გარემოცული ვიყავით ბულგარეთის მადლიანი მიწის ყოველ კუთხეში.

ჩვენმა დელეგაციამ ბულგარეთის მიწაზე 800 კილომეტრამდე იმოგზაურა ავტობუსით. ამ ტრასის ყოველი მონაკვეთი საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურყევი მეგობრობის გამომხატველი გახლდათ. პირველი ქალაქი, რომელსაც ჩვენ საფუძვლიანად გავეცანით, იამბოლი იყო. ზედ თურქეთის საზღვართან მდებარე საოლქო ცენტრი დაახლოებით 60 ათას მოსახლეს ითვლის.

იამბოლს ბულგარეთის სახალხო კრების არჩევნების მეორე დღეს ვეწვიეთ. ქალაქში ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი საზეიმო განწყობილება. ადგილობრივმა გაზეთმა „ნაროდენ დრუგარმა“, რომელიც უმთავრესად არჩევნებისადმი მიძღვნილ მასალებს ბეჭდავდა, ჩვენს ვიზიტს მთელი გვერდი დაუთმო. პრესის ფურცლებზე განსაკუთრებით ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი გ. საღარაძე და ზ. ბერიაშვილი.

საქართველოს ათლეტთა ჩასვლის ამბავი პატარა ქალაქს უმალვე მოედო. ქუჩაში გვაჩერებდნენ, ხელს გვართმევდნენ, სუვენირებს გვიცვლიდნენ... ქალაქის მკვიდრთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ გ. საღარაძე, ზ. ბერიაშვილი და შ. ლომიძე. ისინი ერთბაშად საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

მეორე დღეს პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ტენევმა მიგვიღო. საუბარი ძირითადად ეხებოდა ოლქის მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ საქმიანობას, მათს მიღწევებს. ლაპარაკში გამოირკვა, რომ საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დ. იოვჩევი ჭიდაობის საოლქო ფედერაციის თავმჯდომარე ყოფილა (იგი დიდ ყურადღებას აქცევს სპორტის ამ სახეობის განვითარებას ოლქში).

საღამოთი კი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენებულ სპორტდარბაზში ვიყავით, რომელსაც რომანტიკული სახელი „დიანა“ ჰქვია. აქ გაიმართა ჩვენი დებიუტი. პირდაპირ თბილისის სპორტის სასახლეში გვეგონა თავი. ისეთივე ტემპერამენტიანი მაყურებელი, შეძახილები, ტაში... ბიჭები სულ მალე აღმოჩნდნენ „თავიანთ ტაფაში“, ამას კი ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეორე დღეს ხასკოვს ვეწვიეთ. ეს ქალაქიც საოლქო ცენტრია და ისიც თურქეთს (აგრეთვე საბერძნეთს) ესაზღვრება. ხასკოვი იმითაცაა ცნობილი, რომ მის მეზობლად მდებარეობს ბულგარეთის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო კომპლექსი მარიცა და სსრ კავშირის ძმური დახმარებით აგებული ქვანახშირის დიდი მაღაროები.

საერთაშორისო ავტომაგისტრალის სოფია — სტამბოლის გზაჯვარედინზე წამოჭიმული ხასკოვი ბუნებრივი მონაცემებით საოცრად გავს დასავლეთ საქართველოს ქალაქებს. აქ ბევრია მრავალსართულიანი სასტუმრო, სამრეწველო ობიექტი და თანამედროვე ტიპის კომფორტაბელური სპორტული ბაზა. ერთ-ერთი მათგანის — სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობა შარშან დამთავრდა. სწორედ აქ გაიმართა საქართველოსა და ბულგარეთის მოჭიდავეთა მეორე შეხვედრა, რომელსაც 2 ათასი მაყურებელი დაესწრო (ჭიდაობის ადგილობრივ ფედერაციას პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. კორცანოვი ხელმძღვანელობს).

...ისევ ავტობუსი, ისევ ლამაზი ავტოსტრადა და ქალაქ პლოვდივის გავლით უკვე სოფიაში ვართ. ბულგარეთის დედაქალაქის გაცნობა მის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებით დავიწყეთ. მაგრამ სულ მალე პირველ სირთულეს წავაწყდით: ქუჩებში ჩვენს ბიჭებს ყოველ ნაბიჯზე აჩერებდნენ, ესაუბრებოდნენ და ავტოგრაფებს ართმევდნენ... სიარული იმდენად გაგვიჭირდა, რომ ქალაქის ტრანსპორტს „შევაფარეთ“ თავი და სასტუმროში დავბრუნდით, თუმცა ცნობისმოყვარე გულშემატკივრებს ვერც აქ გადავურჩით. მაშინ საჭიდაო დარბაზში „დავიმალეთ“, სადაც ზ. ბერიაშვილმა და ა. კიკნაძემ ახალბედა ბულგარელ მოჭიდავეებს თავისუფალი ჭიდაობისა და სამბოს რამდენიმე ილეთი უჩვენეს.

ბულგარეთში ჩვენი მთავარი მეგზური და მასპინძელი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე (საზოგადოებრივ საწყისებზე), თადარიგის გენერალ-მაიორი ც. ცენოვი გახლდათ. ამ ფართოდ განსწავლულ და ენერგიულ ადამიანს ბულგარეთში ჭიდაობის ყველა მოყვარული იცნობს, თვით სპორტსმენებზე რომ არაფერი ვთქვათ. საქმე ის არის, რომ ცენოვი, რომელიც ამავე დროს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა-ს) პრეზიდიუმის წევრია, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის ძალღონეს არ ზოგავს. მასპინძლებმა გვითხრეს: ცენოვის დიდი დამსახურებაა, რომ ჩვენს ბიჭებს მსოფლიოს სარბიელზე ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავთ და ბულგარეთის ეროვნული ნაკრები ბოლო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია გუნდურ ჩათვლაში.

და აი, 6 მარტს სწორედ ამ ნაკრების წინააღმდეგ მოგვიხდა ჭიდილი (მანამდე ჩვენს აქტივში უკვე ორი გამარჯვება ირიცხებოდა: ერთი — ბულგარეთის „ბ“ გუნდთან, იამბოლში, და მეორე — ხასკოვის ოლქის ნაკრებთან).

მასპინძლებმა მესამე შეხვედრაში უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანეს, მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ორი წლინდელი მატჩი სავარჯიშო ხასიათისა ყოფილიყო. იამბოლში, მაგალითად, ე. წ. მეორე გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ბ. ბაევი, პ. დერმენჯიევი, პ. გარჯევი, ს. მუსტაფოვი, ისინი, ვინც შემდგომ სოფიაში I გუნდის შემადგენლობაში ვიხილეთ.

ესეც არ იყოს, განა მ. გიორგიევი, ს. ბიმბალოვი, ტ. ალაჯიკოვი ან ვ. კოსტოვი ხელწამოსაკრავი ოსტატები არიან? მათ დიდი ხანია საერთაშორისო სარბიელზე ნიჭიერი, უმაღლესი კლასის მოჭიდავეთა სახელები დაიმკვიდრეს. და სამართლიანადაც.

ცხადია, კარგად ვიცოდით, თუ რა ძალისა იყვნენ იქაური მოჭიდავეები და ამიტომ ყოველ შეხვედრას მთელი სერიოზულობითა და უდიდესი მონდომებით ვატარებდით.

და აი, შედეგიც, რომელიც მკითხველებისათვის კარგადაა ცნობილი. 3 შეხვედრა — 3 გამარჯვება (სოფიასა და ხასკოვში ერთნაირი ანგარიშით — 5:3, იამბოლში კი — 4,5:3,5).

**ი. სარაჯიშვილი,**
საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე, დელეგაციის ხელმძღვანელი.

**მ. თიკანაძე,**
საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

(დასასრული იქნება).



სურათზე: ხასკოვის სპორტის სასახლე.

## კალათბურთი
### სსრ კავშირის ჩემპიონატები

# მარათონის ფინიში

თბილისში გუშინ დამთავრდა სსრ კავშირის XXXIII პირველობა კალათბურთში „ა“ კლასის პირველი ლიგის გუნდებს შორის. მოგვყავს 2 უკანასკნელი კალენდარული დღის ტექნიკური შედეგები:

**24 მარტი.** „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 85:66 (41:38), ასკ (რიგა) — ასკ (კიევი) 60:58 (26:31), „კალევი“ (ტარტუ) — „დინამო“ (მოსკოვი) 65:56 (31:23), ვეფ (რიგა) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 69:64 (36:37), ასკ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი) 79:77 (39:43), „სტროიტელი“ (კიევი) — ცსკა 65:59 (33:33).

**25 მარტი.** ცსკა — „ჟალგირისი“ 74:66 (41:32), ვეფ — „ურალმაში“ 89:55 (48:26), „კალევი“ — ასკ (ლენინგრადი) 82:40 (49:19), ასკ (კიევი) — „სპარტაკი“ 65:63 (29:27, 51:51, 59:59), „დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“ 63:58 (33:20), ასკ (რიგა) — „დინამო“ (თბილისი) 80:65 (43:41).

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 20 | 2 | 20 |
| „სტროიტელი“ კიევი | 22 | 14 | 8 | 14 |
| ვეფ რიგა | 22 | 13 | 9 | 13 |
| ასკ რიგა | 22 | 13 | 9 | 13 |
| „ჟალგირისი“ კაუნასი | 22 | 12 | 10 | 12 |
| ასკ კიევი | 22 | 11 | 11 | 11 |
| „კალევი“ ტარტუ | 22 | 11 | 11 | 11 |
| „სპარტაკი“ ლენინგრადი | 22 | 11 | 11 | 11 |
| „ურალმაში“ სვერდლოვსკი | 22 | 8 | 14 | 8 |
| „დინამო“ თბილისი | 22 | 8 | 14 | 8 |
| ასკ ლენინგრადი | 22 | 5 | 17 | 5 |
| „დინამო“ მოსკოვი | 22 | 5 | 17 | 5 |

ამრიგად, „ა“ კლასის ოსტატთა უმაღლესი ლიგა დატოვეს ლენინგრადის არმიელებმა და მოსკოვის დინამოელებმა. მათ ადგილებს დაიკავებს II ლიგის ტურნირში გამარჯვებული 2 გუნდი (ეს შეჯიბრება დაიწყება 29 მარტს ბაქოში).

## მოულოდნელი მარცხი

**მოსკოვი,** 25 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ, კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის II კალენდარულ დღეს, მოულოდნელი მარცხი განიცადა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა: თბილისელებმა წააგეს კიევის „დინამოსთან“ — 55:67 (32:30). ჩვენმა კალათბურთელებმა საგრძნობლად გაიუარესეს ოქროს მედლებისათვის ბრძოლის შანსები.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ტტტ (რიგა) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 57:24, „ბურევესტნიკი“ (როსტოვი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 52:45, „დინამო“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 66:37, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 38:35, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — ასკ (ლენინგრადი) 51:40.

### უკანასკნელ საათს

◆ **მოსკოვი,** 25 მარტი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 70:48.

## ფეხბურთი

### საქართველოს პირველობა

განვლილ კვირას დაიწყო საქართველოს პირველობა.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ქართლი“ (გორი) 2:0. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა პირველი გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში. მეორე ტაიმში მასპინძელთა თავდამსხმელმა ფანცხავამ ზედიზედ 2 ბურთი გაგზავნა გორელთა კარში და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

● „სინათლე“ (თბილისი) — „ისანი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

● „ირისტონი“ (ცხინვალი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

მასპინძლებმა შესვენების შემდეგ შეძლეს ანგარიშის გახსნა, რასაც ახალციხელებმა უპასუხეს ძლიერი კონტრშეტევებით და საპასუხო გოლით.

● „გარდაბანი“ (ბორჯომი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

ბორჯომელებმა სწრაფი შეტევით დაიწყეს თამაში და მალე გახსნეს კიდეც ანგარიში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით. შემდგომში ბრძოლა გათანაბრდა და სტუმრებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა.

● „მეჟალალდე“ (ზუგდიდი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

● „გურია“ (ლანჩხუთი) — „ნარინჯი“ (ბათუმი) 1:1. მსაჯი ვ. მახნაზაროვი (თბილისი).

ტერიტორიული უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, რომლებმაც მეორე ტაიმში გახსნეს ანგარიში. ამის შემდეგ ბათუმელებმა წარმატებით დაამთავრეს თავიანთი ერთ-ერთი კონტრშეტევა.

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუდენტებმა. შემდგომში კოლხეთელებმა საფუძვლიანად აიღეს ხელთ ინიციატივა, გაიტანეს 2 ბურთი და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს მატჩი.

● „მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 4:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 1:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

სამტრედიელთა მიერ მატჩის დასაწყისში გატანილი ბურთი „მეშახტემ“ გაქვითა 71-ე წუთზე — 1:1. შემდგომში სტუმართა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც „ლოკომოტივმა“ ვერ გამოიყენა.

● ასკ (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

* * *

ქობულეთის „მუქურას“ გამარჯვება ჩაეთვალა ქუთაისის „დინამოსთან“ შეხვედრაში, ვინაიდან ქუთაისელები სათამაშოდ არ გამოცხადდნენ.

## ვეტერანის პრიზზე

დამთავრდა გათამაშება ქვეჯგუფებში შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე. I ქვეჯგუფში, როგორც ვიტყობინებოდით, გამარჯვება წილად ხვდათ ტყიბულის „მეშახტის“ ფეხბურთელებს, მეორე ჯგუფში კი საამისო შანსები ბოლო ტურისთვის ჰქონდა თითქმის ყველა მონაწილეს.

პირველ მატჩში სოხუმის „დინამოსა“ და ზუგდიდის „ენგურს“ შორის ყველაფერი დასაწყისშივე გადაწყდა. სულ რამდენიმე წუთი იყო გასული მსაჯის სასტვენის შემდეგ და სოხუმელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ფიფიამ ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. ცოტა ხანში ანგარიში სამამდე გაზარდა ეშუხბაიამ.

მეორე ტაიმში ზუგდიდელთა ერთ-ერთმა მცველმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი და სოხუმელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს თამაში — 4:0.

ამ მატჩის შემდეგ გურჯაანის „ალაზანს“ საკმაოდ გაურთულდა ამოცანა. მას ხუთივე ანგარიშით უნდა მოეგო მატჩი რუსთავის „მეტალურგთან“, რომ ქულებითაც და ბურთების სხვაობითაც გატოლებოდა სოხუმის „დინამოს“. ალაზნელები მეორე ტაიმში ახლოს იყვნენ ამ ამოცანასთან. მათ პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 2:0 (ბურთები გაიტანეს ჯავახიშვილმა და საბანაძემ), ხოლო შემდეგ წოწორიამ მესამე ბურთიც მოათავსა მეტოქის კარში. მაგრამ „მეტალურგმა“ არ დაჰყარა ფარ-ხმალი და ლობჟევმა გაქვითა 1 გოლი. გაიმარჯვა „ალაზანმა“ — 3:1. ახლა პირველი ადგილისთვის იბრძოლებენ სოხუმის „დინამო“ და ტყიბულის „მეშახტე“.

## სსრ კავშირის ჩემპიონატები

### ხელბურთი

## 3 ძნელი გამარჯვება

რიგა (ფოტოდეპეშით). სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატის I ტურში თბილისის „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ თამაშობდა მასპინძელი — რიგის „დაუგავა“. ლატვიელებმა მაინცდამაინც დიდი სტუმართმოყვარეობა ვერ გამოიჩინეს და „ბურევესტნიკს“ ისეთი შეტევები შესთავაზეს, რომ თბილისელები დაიბნენ. გუნდში სათამაშო დისციპლინა მოიშალა, ჩვენი სპორტსმენები წაკინკლავდნენ, გადაცემების სიზუსტე დაიკარგა. ცერცვაძემ ზედიზედ 4 ნაღდი გოლი (მათ შორის 1 პენალტი) ვერ გაიტანა. ეს კი მასპინძლების წისქვილზე ასხამდა წყალს. რიგელებმა მოიგეს პირველი ნახევარი — 11:9.

ასე იყო მატჩის განახლების შემდეგაც. 44-ე წუთზე „დაუგავა“ წინ იყო 5 გოლით (16:11), მაგრამ მოულოდნელად თბილისელები საოცრად გარდაიქმნენ. ანთაძის, ფხაკაძის, ექსეულიძისა და ცერცვაძის გარღვევები შედეგიანი აღმოჩნდა. მდგომარეობა გამოსწორდა, ხოლო, როცა კოპალეიშვილმა ანგარიში გაათანაბრა (16:16), ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 21:20. ასე, შეუთანხმებელი თამაშის გამო გუნდმა კინაღამ სტარტზევე დაჰკარგა ქულა.

„დაუგავასთან“ მატჩში განცდილმა ნერვიულობამ გუნდს თავისი კვალი დააჩნია კრასნოდარის „ბურევესტნიკთან“ შეხვედრაში. მთელ მატჩში თბილისელები იყვნენ წინ, მაგრამ „ა“ კლასის დებიუტანტები — კრასნოდარელი ხელბურთელები ფეხდაფეხ მისდევდნენ ჩვენს სპორტსმენებს. ორივე გუნდი მეტად დუნედ თამაშობდა. ბევრი წუნი იყო თბილისელთა დაცვაში, კარში საიმედოდ ვერ იდგა აბაიშვილი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ხუციშვილმა შეცვალა, ანგარიშიც თანდათან თბილისელთა სასარგებლოდ გაიზარდა. შეხვედრა მოიგეს — 24:16 (13:10).

მესამე მატჩი საქართველოს გუნდს ლენინგრადის „ტრუდთან“ ჰქონდა. ამ შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ „ბურევესტნიკი“ არ არის ჩვეულ ფორმაში. მატჩის დასაწყისშივე ნათელი გახდა ლენინგრადელთა გადაწყვეტილება — თამაშიდან გამოეთიშათ ცერცვაძე. ამ ამოცანის გადაჭრა მათ ალექსიკოვს მიანდეს. ამან თბილისელებს მოქმედების არე გაუხსნა. როგორც კი ცერცვაძე თავს დააღწევდა მეურვეს, ალექსიკოვი თავგზააბნეული დარბოდა მოედანზე. „ბურევესტნიკმა“ პირველი ტაიმი მოიგო ანგარიშით 12:8.

შემდეგ გუნდში კვლავ იჩინა თავი დაცვის სისუსტემ, განსაკუთრებით 6-მეტრიან რადიუსთან. ამან ლენინგრადელებს საშუალება მისცა ჯერ გაეთანაბრებინათ ანგარიში (17:17), ხოლო 43-ე წუთზე წინ გასულიყვნენ. როცა შეხვედრის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, ანგარიში გახდა 22:22. დარჩენილ დროში ექსეულიძემ ორი გოლით გაზარდა ანგარიში. მოგება — 24:22.

განვლილ სამ მატჩში თბილისელებმა 69 გოლი გაიტანეს (ცერცვაძემ — 20, ექსეულიძემ — 9, ფხაკაძემ — 5, ანთაძემ — 7, კარტოზიამ — 6, ზარდალიშვილმა — 13, კოპალეიშვილმა — 7, ბაგრატიონმა და ზაქარიაძემ — თითო).

წინ კიდევ ორი შეხვედრაა. 26 მარტს ტირასპოლთან, ხოლო კვირას — მოსკოვის „კუნცევოსთან“ (ყოფილი „ტრუდი“). ჯერჯერობით ვაჟთა სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: თბილისის „ბურევესტნიკი“ და მოსკოვის „კუნცევო“ — 6-6 ქულა, ლენინგრადის „ტრუდი“ — 4, „დაუგავა“ — 2, კრასნოდარის „ბურევესტნიკი“ და ტირასპოლი — 0.

ვაჟთა გუნდების სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: II ტური. „ტრუდი“ (ლენინგრადი) — ქ. ტირასპოლი — 23:20, „კუნცევო“ — „დაუგავა“ — 29:16; III ტური. „კუნცევო“ — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — 27:18, „დაუგავა“ — ტირასპოლი — 24:22.

**ჯ. ენუქიძე,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

### წყალბურთი

## ბურთი ფრინავს წყალზე

**სარატოვი,** 24 მარტი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს „ა“ კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 6 უძლიერესი გუნდი მონაწილეობს (დანარჩენი 6 ბრძოლაში ჩაება მოსკოვის ცსკა-ს საცურაო აუზში). ძალიან დაძაბული გამოდგა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონების — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და ლვოვის დინამოელთა შეხვედრა. მეზღვაურებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით შეძლეს მატჩის მოგება —4:3. ასეთივე ანგარიში იყო კიევის „დინამოსა“ და „ტრუდის“ (მოსკოვის ოლქი) შეხვედრაში. „ბურევესტნიკი“.

თბილისის „დინამოს“ და ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის წყალბურთელები ძველი მეტოქეები არიან. მათი ორთაბრძოლები მუდამ დაძაბულად მიმდინარეობს. მაგრამ ამჯერად ასე არ იყო. დინამოელებმა თავიდანვე ენერგიულად შეუტიეს მეტოქეებს და შედეგმაც არ დააყოვნა — ვ. სანაძემ გაიტანა პირველი ბურთი. 2-წუთიანი შესვენების შემდეგ მიმინოშვილმა ანგარიში 2-მდე გაზარდა, შემდეგ ისელიძემ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი — 3:0. ამის შემდეგ ბაქოელები უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ მაინც მიიღეს თავიანთ კარში მეოთხე ბურთი (იგი 4-მეტრიანი საჯარიმოდან გაიტანა სანაძემ). დარჩენილ დროში ბაქოელებმა ტრუხინმა და ბორტკევიჩმა მხოლოდ 2 ბურთის გაქვითვა შეძლეს. გაიმარჯვეს ჩვენებმა — 4:2.

**სარატოვი,** 25 მარტი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ თბილისის დინამოელებმა წააგეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდთან — 2:4. ლვოვის „დინამომ“ მოუგო „ტრუდს“—6:4, ხოლო ბაქოელებმა კიეველებს — 4:3.

**კ. იოგანი.**

## „ოთხთა ტურნირი“ პრაღაში

ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვეტილება მიიღო ჩაატაროს საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ იტალიის „მილანი“, „რაპიდი“ (ვენა) და მასპინძელთა გუნდები — „სპარტა“ და „სლავია“.

გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ მიმომხილველის აზრით, ეს ტურნირი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, რომლის რამდენიმე წევრი „სპარტასა“ და „სლავიაში“ თამაშობს. ახლა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გაახალგაზრდავების პროცესშია ევროპის ჩემპიონატის წინ.

### ფეხბურთი

## აფრიკის პირველობა

აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან სისტემატურად მოეწყობა კონტინენტის ჩემპიონატი. აი, პირველი გათამაშების კვენჩისყრის შედეგები:

**I ჯგუფი:** 1. სენეგალი, 2. გვინეა, 3. ლიბერია.

**II ჯგუფი:** 1. ალჟირი, 2. მალი.

**III ჯგუფი:** 1. სპილოს ძვლის ნაპირი, 2. ნიგერია, 3. ტოგო.

**IV ჯგუფი:** 1. არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, 2. ლიბანი, 3. უგანდა, 4. კენია.

**V ჯგუფი:** 1. კამერუნი, 2. ტუნისი, 3. კონგო (ბრაზავილი).

**VI ჯგუფი:** 1. კონგო (ლეოპოლდვილი), 2. სუდანი, 3. ტანზანია, 4. მავრიტანია.

განა და ეთიოპია უშუალოდ ფინალში არიან მიწვეული.

### ფეხბურთი

## ასე ფიქრობს სივორი

იტალიელი მიმომხილველი ჯ. ბრერა ეწვია „ნაპოლის“ მოთამაშე ო. სივორის და ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონატის საკითხებზე. კითხვაზე, ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი, სივორიმ მიუგო.

„არც ბრაზილიელებსა და არც ინგლისელებს არ ვთვლი ძირითად ფავორიტებად. თუ იტალიელთა მთავარი მწვრთნელი ე. ფაბრი ნაკრებში შეიყვანს ალტაფინის, ამ გუნდს დიდი შანსები ექნება. თვად განსაჯეთ: ცენტრალურ თავდამსხმელებად ითამაშებდნენ ალტაფინი და მაცოლა. საჭირო იქნება ერთი სწრაფი გარემარბიც სათანადო დრიბლინგითა და ძლიერი დარტყმით, მინდვრის ცენტრს კი დაიპყრობდნენ რივერა და კორსო. ეს შესანიშნავი ხუთეულია“.



სურათზე: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი ც. ბზიკაძე ასრულებს აკრობატიულ ეტიუდს.

ფოტო ა. საკოვისა.

## ყოველი მხრიდან

✦ **დისკრიმინაციის წინააღმდეგ**

ლონდონში გაიმართა სპორტულ ჟურნალისტთა ბრიტანეთის კავშირის ტრადიციული ყოველწლიური სესია. სესიამ განიხილა საკითხი დაუშვებელი დისკრიმინაციისა, რასაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებისა და ჟურნალისტების მიმართ ბონის კარნახით ახორციელებენ ინგლისის ხელისუფლები. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ე. წ. მოგზაურობათა მოკავშირეობის ბიურო, რომელსაც დასავლეთ ბერლინში აქვს ბინა, იმ ანგარიშით მოღვაწეობს, რათა გდრ-ის სპორტსმენებმა და სპორტულმა ჟურნალისტებმა ნატოს არც ერთ ქვეყანაში ჩასვლის ვიზა არ მიიღონ. ეს ორგანიზაცია დასავლეთ გერმანიის პოლიტიკანების — „ცივი ომის“ რაინდების მორჩილი იარაღია.

სესიაზე წაიკითხეს დეპეშა გამოჩენილი სპორტული ჟურნალისტებისა, რომლებიც ფეხბურთის გუნდთან „ვესტჰემ იუნაიტედთან“ ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებიან. ინგლისის ჟურნალისტები წერენ იმ დიდ სტუმართმოყვარეობაზე, რასაც გდრ-ში მათ მიმართ იჩენენ და მკაცრად ითხოვენ: ბოლო მოეღოს საზიზღარ დისკრიმინაციას მათი აღმოსავლეთგერმანელი კოლეგების მიმართ, შეუქმნან მათ დიდ ბრიტანეთში ჩასვლისა და მუშაობის ნორმალური პირობები. დეპეშას ხელს აწერენ ისეთი ცნობილი სპორტული მიმომხილველები და კომენტატორები, როგორიც არიან ბრაიონ ბატლერი (გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“), ჰარი მილერი („დეილი მირორი“), ჯონ ოკლი („ივნინგ ნიუსი“), ჰეროლდ ჰალმერი („ივნინგ სტანდარტი“), როი პესკიტი („დეილი მეილი“), სტივ რიჩარტსი („სანი“), კლივ ტოი („დეილი ექსპრესი“).

სესიამ გადაწყვიტა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ ვილსონთან მიავლინოს ბრიტანეთის სპორტულ ჟურნალისტთა კავშირის დელეგაცია, რომელიც პრემიერს გამოუცხადებს პროტესტს აღმოსავლეთგერმანელი კოლეგების დისკრიმინაციის გამო.

✦ **„არ გვინდა ომი!“ — ამბობენ სპორტსმენები**

მალე დასავლეთ გერმანიაში დაიწყება მშვიდობისათვის მებრძოლთა ტრადიციული „სააღდგომო სვლა“. ჰამბურგის გაზეთმა „ელანმა“ გფრ-ის მოქალაქეებს მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ ამ სვლაში, მოითხოვონ ქვეყნის მილიტარიზაციის შეწყვეტა და ხალხთა შორის მშვიდობის დამყარება, ბოლო მოეღოს ბონის მმართველი წრეების მისწრაფებას ატომური იარაღისადმი, გაკიცხონ აშშ-ის სამარცხვინო, ბინძური ომი ვიეტნამში. მოწოდებას ღვთისმსახურებთან, ჟურნალისტებთან და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან ერთად ხელს აწერენ პოპულარული დასავლეთგერმანელი სპორტსმენები. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ერნსტ შტრენგი, სახელგანთქმული გუნდის — ველოსიპედისტთა ოთხეულის წევრი, რომელმაც 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადაში ოქროს მედლები მოიპოვა, მანფრედ ლეტცერიხი — გფრ-ის ჩემპიონი 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ვერნერ ტრჟმილი — 110 მეტრზე თარჯრბენში ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, არმინ ბაუმერტი, გფრ-ის ერთ-ერთი უძლიერესი სიგრძეზე მხტომელი, მიხაელ ბელა, საფეხბურთო კლუბის „მაიდერიჰერ სფ“-ს მოთამაშე... მშვიდობისთვის მოწოდებაზე ხელის მოწერით მათ გამოთქვეს ყველა პატიოსანი დასავლეთგერმანელი სპორტსმენის მისწრაფება, მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის დამკვიდრდეს ურთიერთგაგება, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება განხორციელდეს სპორტის კეთილშობილური იდეალები.

### ნეკროლოგი

## ს. გ. ყურაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა სკკპ წევრი 1931 წლიდან, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი სიმონ გაბრიელის ძე ყურაშვილი.

ს. ყურაშვილი დაიბადა 1902 წელს, ცაგერის რაიონის სოფ. ნაკურალეში. მშობლების ხელმოკლეობის გამო ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან ვერ მოახერხა სწავლის გაგრძელება. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეძლო მან საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება.

იგი 1931 წლიდან 1961 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში, ხოლო 1961 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მან გამოაქვეყნა ორმოცზე მეტი სამეცნიერო შრომა და ზოგადი ქიმიის სახელმძღვანელო საშუალო სამედიცინო სასწავლებლებისთვის. უკანასკნელ წლებში ს. ყურაშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სპორტის ბიოქიმიაში.

ს. ყურაშვილი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

შესანიშნავი პედაგოგის, მეყაითი მეცნიერ-მკვლევარის და გულისხმიერი ადამიანის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი კოლეგებისა და სტუდენტთა გულში

**ამხანაგების ჯგუფი.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისი სპორტულ არენაზე

**ფეხბურთი.** „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 26 მარტი. შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება. III-IV ადგილებისთვის ერთმანეთს ხვდებიან „ალაზანი“ (გურჯაანი) — „კოლხიდა“ (ფოთი). დასაწყისი 16 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 26 მარტი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. VI-VII-VIII ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 17 ს. 26-30 მარტი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მოსწავლეთა შორის. დასაწყისი 11 ს. 30 წ. მასწავლებლის სახლი (ფურცელაძის ქ. № 3). 26-30 მარტი. საქართველოს პირველობა მასწავლებელთა შორის. დასაწყისი 10 ს. და 18 ს.

**ტყვიით სროლა.** ვაკის სასროლეთი. 26-27 მარტი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

**შაში.** სპორტკლუბ „სინათლის“ საჭადრაკო-საშაშო კლუბი (ტელმანის ქ. № 8). 26 მარტი-2 აპრილი. თბილისის პირადი პირველობა. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01492